შპს "რეალექსპერტი"
მის: თბილისი, ათონელის ქ. N23
ტელ: +995 322 99 55 56
+995 599 55 16 23
ელ ფოსტა: realekspert2015@gmail.com



LTD "REALEXPERT"
ATONELI str.23,TBILISI, GEORGIA
TEL: +995 322 99 55 56
+995 599 55 16 23
Email: realekspert2015@gmail.com

საკ GAC

GAC – IB – 0296
სსტ ისო/იეკ
17020:2012/2013

შპს „რეალექსპერტი“ ინსპექტირების ორგანო

ი ნ ს პ ე ქ ტ ი რ ე ბ ი ს ა ნ გ ა რ ი შ ი

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

EA BLA-ის ხელმომწერი

GAC-IB-0296

ადასტურებს, რომ

შპს „რეალექსპერტი“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მდებარე: ქ. თბილისი, ათონელის ქ. N23

შეფასდა და აკმაყოფილებს საქართველოს სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტაციის სფერო მოცემულია აკრედიტაციის მოწმობის დანართში, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
02 ივნისი 2020 წ.

ძალაშია
02 ივნისი 2024 წ.

ბ.ა.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

დამკვეთი: სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“
დამამზადებელი: შპს „სოლეი“. სფს-ს რეგისტრაციის № 08-3938

ქ.თბილისი

17.01.2022 წ.

ინსპექტირების ანგარიში № R-E.TP.G04.FA.22.22

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო აკრედიტებული სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013

ინსპექტორი გაფრთხილებული და პასუხისმგებელია ინსპექტირების მიუკერძოებლობაზე, კვლევის ჯეროვან ჩატარებასა და ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალობაზე.

ინსპექტორის ხელმოწერა ----------

ინსპექტირების სფერო: პროექტის გეოლოგიური ნაწილის ინსპექტირება

ინსპექტირების ობიექტი: თბილისში, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქ. #41-ში (მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.20.003.005) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა.

ინსპექტირების ჩატარების საფუძველი: განაცხადი № R-E.MP.G09.22.22

დამკვეთი: შპს „გეო-ძიება 2013“ ს/კ:406096807

შემსრულებელი ინსპექტორი: ია მშვიდობაძე

ტექნიკური მენეჯერი: ია მშვიდობაძე

ინსპექტირების წინაშე დასმული კითხვები: თბილისში, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქ. #41-ში (მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.20.003.005) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური ნაწილის ინსპექტირება.

ინსპექტირებაზე დამკვეთის მიერ წარმოდგენილი თბილისში, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქ. #41-ში (მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.20.003.005) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების ტექნიკური დოკუმენტაცია. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე; ტექნიკური დავალება; ჩასატარებელი კვლევები პროგრამა ; გრუნტები და ღორღოვანი საფუძვლები (ოქმი); გრუნტების ლაბორატორიული კვლევების კრებსითი ცხრილი; წყლის სინჯის ქიმიური ანალიზი ; ლითოლოგიური სვეტები; ლითოლოგიური ჭრილები; ტოპოგეგმა ჭაბურღილების ადგილმდებარეობის დატანით.

ინსპექტირების თარიღი ან პერიოდი: 11.01.2022წ- 17.01.2022 წ.

ინსპექტირების ანგარიში

შედეგები:

დამკვეთის შპს „გეო-ძიება 2013“-ის მიერ წარმოდგენილი, ქ. თბილისში, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქ. #41-ში (მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.20.003.005) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას.

იხ. დანართი

გამოკვლევა

დამკვეთის შპს „გეო-ძიება 2013“-ის თბილისში, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქ. #41-ში (მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.20.003.005) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგების ტექნიკური დოკუმენტაციის ინსპექტირება.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს თბილისში, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქ. #41-ში (მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.20.003.005) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო- გეოლოგიური სამუშაოებისა და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს ,,გეო-ძიება 2013’-ის გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2022 წლის იანვარში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი – გურამ იამვილი. მის მიერ მოძიებული და დამუშავებულია არსებული ფონდური მასალა და წყაროები. ჩატარებულია საველე კვლევები, ხოლო გრუნტის ნიმუშები და წყლის სინჯები შემოწმებულია შ.პ.ს. “აბსოლუტ სერვისი”-ს აკრედიტირებულ ლაბორატორიაში.

ინსპექტირებაზე წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 17 გვ;
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ;
3. ჩასატარებელი კვლევები პროგრამა ..... 1 გვ;
4. გრუნტები და ღორღოვანი საფუძვლები (ოქმი) ..... 1 გვ;
5. გრუნტების ლაბორატორიული კვლევების კრებსითი ცხრილი..... 1 გვ;
6. წყლის სინჯის ქიმიური ანალიზი ..... 3 გვ;

7. ლითოლოგიური სვეტები ..... 9 გვ;

8. ლითოლოგიური ჭრილები ..... 2 გვ;

9. ტოპოგეგმა ჭაბურღილების ადგილმდებარეობის დატანით ..... 1 გვ;

10. ფოტომასალა.....24ფოტო.

პროექტით, საკვლევ მოედანზე, უნდა აშენდეს მრავალფუნქციური, თორმეტსართულიანი (-2 ავტოსადგომი) კომპლექსი, მართკუთხა კონფიგურაციის, გაბარიტული ზომებით – 55.2მ.X18.8მ.X39.9მ. საძირკვლის სავარაუდო ტიპი: ფილა. ობიექტის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით IV.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე გაყვანილი იქნა 5 ჭაბურღილი, საერთო სიღრმით 58.0გრძ/მ. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად სამთო გამონამუშევრებიდან აღებული იქნა დარღვეული და დაურღვეველი სტრუქტურის 17 ნიმუში, საიდანაც ლაბორატორიული კვლევებისთვის შერჩეული იქნა დაურღვეველი სტრუქტურის 3 ნიმუში. ასევე აღებული გრუნტის წყლის სინჯები. ნიმუშები და სინჯები გამუკვლეულია შ.პ.ს. "აბსოლუტ სერვისი"-ს აკრედიტირებულ ლაბორატორიაში;

საკვლევი ტერიტორია განთავსებულია თბილისში, ვარკეთილში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა #41-ში (მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.20.003.005), მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 495მ-დან-499მ- მდე ჰოპსომეტრიულ ნიშნულებს შორის სიმაღლეზე. გეომორფოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ძეძვი-მახათას მაღლობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მცირე დახრის მქონე სამხრეთ ექსპოზიციის ფერდზე. იგი ხელოვნურად მოსწორებულ მოედანზეა განთავსებული, ოდნავი დახრით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. გეოლოგიურად ტერიტორია წარმოდგენილი არის მესამეული ასაკის ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობისაგან. ქვიშაქვები ლითოლოგიურად შედგებიან არკოზული მარცვლებისგან, რომლებიც შეცემენტებულნი არიან თიხოვანი მასალით. ფენა ხასიათდება თხელი და საშუალო შრეობრიობით, მონაცრისფრო ფერით და საკმაოდ მაღალი სიმტკიცით. არგილიტები უმთავრესად თხელშრეებრივია, ხასიათდებიან მუქი მონაცრისფრო-მოშავო ფერით. ძირითადი ქანები არგილიტებისა და ქვიშაქვების მორიგეობა დაფარულია ტექნოგენური გრუნტებით და კენჭნარებით, რომლთა სიმძლავრე საკვლევ მოედანზე რამდენიმე მეტრს შეადგენს.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე, როგორც წარმოდგენილი სვეტებიდან ჩანს, უბნის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ შემდეგი სახის გრუნტები:

1. ფენა-1 – ნაყარი (ტექნოგენური) გრუნტი – წარმოდგენილია თიხნაროვანი მასით, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვის ნარჩენების ჩანართებით და გავრცელებულია მთელს საკვლევ ტერიტორიაზე. მისი სიმძლავრე 2.0მ-ს აღწევს. ნაყარი გრუნტი ქვაბულით მოხსნილი იქნება და ამიტომ, ის არ იქნა გამოყოფილი როგორც საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი; ნაყარი გრუნტის მახასიათებლები აღებულია საცნობარო ლიტერატურიდან:

- გრუნტის სიმკვრივე – 1.8კგ/სმ3;
- შინაგანი ხახუნის კუთხე – -180;
- ხვედრითი შეჭიდულობა – C=0.1კგძ/სმ2;
- დეფორმაციის მოდული – E=50კგძ/სმ2;
- საანგარიშო წინაღობა – R0=0.8კგძ/სმ2;

2. ფენა-2 - სგე I – თიხნარი – ღია ყავისფერი, ძნელპლასტიკური – გავრცელებულია მთელ საკვლევ ტერიტორიაზე, მიწის ზედაპირიდან 1.0–4.8მ-ნდე სიღრმის ინტერვალში. წარმოდგენილია ღია ყავისფერი, ძნელპლასტიკური კონსისტენციის თიხნარებით.

აღნიშნული ფენის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

- გრუნტის სიმკვრივე - 1.82გ/სმ3;
- ტენიანობა 23.3%.;
- პლასტიურობის რიცხვი 10.9
- დენადობის მაჩვენებელი 0.39;
- დეფორმაციის მოდული E=120კგძ/სმ2;
- საანგარიშო წინაღობა R0=1.6კგძ/სმ2.
- პუასონის კოეფიციენტი 0.35

3. ფენა - 3 - სგე II - თიხნარი – მუქი ყავისფერი, ნახევრად მყარი კონსის-ტენციის

– გავრცელებულია მთელ საკვლევ ტერიტორიაზე, მიწის ზედაპირიდან 3.5–8.5მ-მდე სიღრმის ინტერვალში.

გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

- სიმკვრივე 1.79 გ/სმ3;
- ხვედრითი შეჭიდულობა C=0.36 კგძ/სმ2;
- შინაგანი ხახუნის კუთხე 23°;
- დეფორმაციის მოდული E=160 კგ/სმ2;
- საანგარიშო წინაღობა R0=220კპა (2.2კგ/სმ2)

4. ფენა - 4 - თიხაქვიშა – პლასტიკური, მოყვითალო [illegible] გავრცელებულია ლოკალურად შუაშრეებისა და ლინზების სახით. მისი სიმძლავრე 0.8მ-ს არ აღემატება, რის გამოც ის არ განიხილება ფუძე-გრუნტად მრავალ-ფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის. გამომდინარე აქედან, ის არ იქნა გამოყოფილი როგორც საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი.

5. ფენა - 5 – სგე III - კენჭნარი – გავრცელებულია მიწის ზედაპირიდან 6.0მ-დან

გამოკვლეულ სიღრმემდე. ძირითადად საშუალო ფრაქციულია, კაჭარის იშვიათი ჩანართებით, ქვიშის შემავსებელი 30%-მდე.

გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

- გრუნტის ბუნებრივი სიმკვრივე - ρ = 2.0 გრ/სმ3
- ხვედრითი შეჭიდულობა C = 0.01 კგძ/სმ2
- შინაგან ხახუნის კუთხე 39°
- დეფორმაციის მოდული E = 500 კგძ/სმ2
- გრუნტის პირობითი საანგარიშო წინაღობა R0 = 6.0კგძ/სმ2
- პუასონის კოეფიციენტი 0.27
- საგების კოეფიციენტი 8.0

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 დანართის თანახმად გამოკვლეული უბანი მიეკუთვნება II საშუალო კატეგორიას.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ საკვლევ ობიექტზე გრუნტის წყალი გამოვლინდა მიწის ზედაპირიდან 8.0მ-დან–9.9მ-მდე სიღრმის ინტერვალში; წყლის სინჯის ქიმიური ანალიზის შედეგებით წყალი ავლენს

სხვადასხვა ხარისხის აგრესიულობას რკინაბეტონის ნაკეთობათა მიმართ. საფონდო მასალებზე დაყრდნობით შესაძლებელია, რომ სეზონური ატმოსფერული ნალექების ცვალებადობამ გრუნტის წყლის დონის მატება გამოიწვიოს (სავარაუდოდ 5.0-6.0მ-მდე მიწის ზედაპირიდან).

ადგილის სეისმურობა თანახმად საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების რუქისა 8 ბალია. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0.17. უბნის ამგები გრუნტი, სეისმური თვისებებით, მიეკუთვნება – II კატეგორიას. ამიტომ, უბნის სეისმურობად მიღებულია – 8ბალი.

საკვლევ უბანზე რაიმე ტიპის გეოდინამიკური (ფიზიკურ-გეოლოგიური) მოვლენა, ან პროცესი არ ფიქსირდება. საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობას და მის შემდგომ ექსპლოატაციას, მოსალოდნელი არ არის. კვლევების საფუძველზე ავტორი იძლევა რეკომენდაცია საძირკვლისა და ფუძე-გრუნტის შერჩევის თაობაზე: გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გათვალისწინებით შენობის ფუძის გრუნტებად რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნას სგე II ან III – თიხნარი ან კენჭნარი. საძირკვლის ტიპად რეკომენდირებულია ფილა, ხოლო საძირკვლის ქვეშ უნდა მოეწყოს (0.6-1.2მ.) ფენობრივად დატკეპნილი ხრეშოვანი გრუნტის ბალიში. გრუნტის წყლის სეზონური მერყეობა გათვალისწინებული უნდა

იქნას შენობის საძირკვლების დეტალური პროექტირებისას. საძირკვლის მოწყობისას რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნას – ჰიდროიზოლაცია, რაც თავის მხრივ, ბეტონს იცავს აგრესიული გარემოსგან და მნიშვნელოვნად ზრდის შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის ვადას. ასევე რეკომენდირებულია – შენობის ირგვლივ სადრენაჟე სისტემის მოწყობა.

ამდენად, დამკვეთის შპს „გეო-ძიება 2013“-ის მიერ წარმოდგენილი, ქ. თბილისში, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქ. #41-ში (მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.20.003.005) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას.

კვლევაში გამოყენებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია:

- სამშენებლო ნორმები და წესები -(СниП - ნაწილი 1.02.07-87);
- სამშენებლო ნორმები და წესები -(СниП - ნაწილი IV-5-82);
- ს.ნ და წ. 1.02.07.87-საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის,
- 02.01-08-შენობა ნაგებობის ფუძეები
- ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები R-E.TP.G07.20

შემსრულებელი ინსპექტორი: ია მშვიდობაძე

ტექნიკური მენეჯერი: ია მშვიდობაძე

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა:

ინსპექტირების ორგანოს უფროსი: კახაბერ ვარძიელი

შ.პ.ს.
"გეო-ძიება 2013"

"თბილისი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქ. №41-ში (მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.20.003.005) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის პროექტი"

/საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა/



დირექტორი: /გივი [illegible]შვილი/

ინჟინერ-გეოლოგი: /[illegible]შვილი/

GEO-DZIEBA 2013
406096807

თბილისი/2022წ.

სარჩევი

1. ტექნიკური დავალება ——— 3გვ;

2. ჩასატარებელი კვლევების პროგრამა ——— 4გვ;

3. შესავალი ——— 5გვ;

4. გეომორფოლოგია და გეოლოგიური აგებულება ——— 7გვ;

5. სეისმურობა ——— 7გვ;

6. ჰიდროგეოლოგიური პირობები ——— 9გვ;

7. კლიმატური პირობები ——— 11გვ;

8. საინჟინრო-გეოლოგიური პირობები ——— 13გვ;

9. დასკვნები და რეკომენდაციები ——— 18გვ;

10. გამოყენებული მასალები ——— 21გვ;

/დ ა ნ ა რ თ ი/

გრუნტები და ღორღოვანი საფუძვლები (ოქმი) - - - - - - - - - - - - - - - - - - - 22გვ;

გრუნტების ლაბორატორიული კვლევების კრებსითი ცხრილი - - - - - - - - - - 23გვ;

წყლის სინჯის ქიმიური ანალიზი - 24გვ;

ლითოლოგიური სვეტები - 27გვ;

ლითოლოგიური ჭრილები - 36გვ;

ტოპოგეგმა ჭაბურღილების ადგილმდებარეობის დატანით - - - - - - - - - - - 38გვ;

ფოტომასალა - 39გვ;

ტექნიკური დავალება

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

1. პროექტის დასახელება – მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა;
2. დამკვეთი: შ.პ.ს. "ორიონი" ს.კ. 208148592;
   დირექტორი: გია ბასიაშვილი;
3. ობიექტის მდებარეობა – ქ. თბილისი, ვარკეთილი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა №41, (ს/კ 01.19.20.003.005);
4. დაპროექტების სტადია – მუშა პროექტი;
5. ობიექტის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – IV;
6. ობიექტის ტექნიკური დახასიათება – მრავალფუნქციური კომპლექსი;
   სართულიანობა: – თორმეტსართულიანი (-2 ავტოსადგომი);
   კონფიგურაცია: – მართკუთხა;
   გაბარიტული ზომები: 55.2მ.X18.8მ.X39.9მ.
7. საძირკვლის სავარაუდო ტიპი – ფილა;
8. ჩატარდეს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები მრავალფუნქციური კომპლექსის დაფუძნების პირობების შესწავლის მიზნით;
9. საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში წარმოდგენილი იქნას სამ ეგზემპლარად, ელექტრონული ვერსია;

პროექტის მთავარი კონსტრუქტორი:

ჩასატარებელი კვლევების პროგრამა

წინამდებარე მიწერილობა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესები და ნორმები) და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა საფუძველზე:

– ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისთვის); პ.ნ. 02.01-08 (შენობა-ნაგებობების ფუძეები); პ.ნ. 01.01-09 (სეისმომედეგი მშენებლობა); ს.ნ და წ. IV-5-82 (მიწის სამუშაოები); ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები); სახსტანდარტი 25100-95 (გრუნტების კლასიფიკაცია);

<u>ჩასატარებელი კვლევების მიზანი:</u>

– ქ. თბილისი, ვარკეთილი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა №41-ში (მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.20.003.005) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების გამოკვლევა;

<u>შესასრულებელი სამუშაოები:</u>

- სამშენებლო მოედანზე გაყვანილი იქნას სათანადო სიღრმის 5 ჭაბურღილი;
- სამთო გამონამუშევრებიდან აღებული იქნას ნიმუშები (ს.ნ. და წ. 1.02.07-87 მოთხოვნებით) და ლაბორატორიული კვლევებისთვის შერჩეული იქნას არანაკლებ 3 ნიმუში;
- გრუნტის წყლის გამოვლენის შემთხვევაში აღებული იქნას წყლის სინჯი;
- ჩატარებული კვლევების საფუძველზე შედგეს ტექნიკური ანგარიში და აიკინძოს 3 ეგზემპლარად, ელექტრონული ვერსია;

დირექტორი, გეოლოგიის აკადემიური
დოქტორი, ინჟინერ-გეოლოგი:

შესავალი

შ.პ.ს "ორიონი"-ს დაკვეთის საფუძველზე, 2022წლის იანვრის თვეში, შ.პ.ს. "გეო-ძიება 2013"-ის გეოლოგთა ჯგუფმა ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები მისამართზე:

– თბილისი, ვარკეთილი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქ. №41, მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.20.003.005;

კვლევა-ძიების მიზანს წარმოადგენს:

– მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით მოედნის გეოლოგიური აგებულების და ჰიდროგეოლოგიური პირობების შესწავლა;

სამუშაოებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა:

– ინჟინერ-გეოლოგი: – გურამ იაშვილი;

ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები:

- მოძიებულია და გამოყენებულია საფონდო მასალები;
- უბნის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერდა მიმდებარე ტერიტორია და ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად (საბურღი დანადგარი УГБ 1 ВС მეშვეობით) გაყვანილი იქნა 5 ჭაბურღილი (საერთო სიღრმით – 58.0გრძ/მ.);
- გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად სამთო გამონამუშევრებიდან აღებული იქნა დარღვეული და დაურღვეველი სტრუქტურის 17 ნიმუში, საიდანაც ლაბორატორიული კვლევებისთვის შერჩეული იქნა დაურღვეველი სტრუქტურის 3 ნიმუში;
- გრუნტის წყალი გამოვლინდა მიწის ზედაპირიდან 8.0მ.-9.9მ. სიღრმის ინტერვალში (დეკემბერი, 2021წ.);
- ნიმუშები და სინჯები გადაიგზავნა შ.პ.ს. "აბსოლუტ სერვისი"-ს აკრედიტირებულ ლაბორატორიაში;
- საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჭაბურღილები ამოივსო ნაბურღი მასალით;

- ლაბორატორიული სამუშაოები მიმდინარეობდა: 29 დეკემბრიდან – 12 იანვრამდე /2022წ./ – შ.პ.ს. "აბსოლუტ სერვისი"-ს აკრედიტირებულ ლაბორატორიაში;
- განსაზღვრული იქნა:
  1. გრუნტის ტიპი;
  2. ფიზიკური თვისებები;
  3. მექანიკური მახასიათებლები;
- საველე პირობებში გრუნტის (**ს.ბ.ე. 3 – კენჭნარი**) გრანულომეტრიული შემადგენლობა, განისაზღვრა გაცხრილვის მეთოდით;

კვლევები ჩატარებულია და დასკვნა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესები და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად:

- ს.ნ. და წ. 1.02.07-87 – "საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისთვის";
- პ.ნ. 02.01-08 – "შენობა-ნაგებობების ფუძეები";
- პ.ნ. 01.01.09 – "სეისმომედეგი მშენებლობა";
- ს.ნ და წ. IV-5-82 – "მიწის სამუშაოები";
- ს.ნ. და წ. 02.01-87 – "მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები";
- სახსტანდარტი 25100-95 – "გრუნტების კლასიფიკაცია";

მიღებული შედეგები წარმოდგენილია კომპიუტერზე აკრეფილი ანგარიშის სახით, სადაც გარდა ტექსტური ნაწილისა მოცემულია:

- გრუნტები და ღორღოვანი საფუძვლები (ოქმი);
- გრუნტების ლაბორატორიული კვლევების კრებსითი ცხრილი;
- ლითოლოგიური სვეტები;
- ლითოლოგიური ჭრილები;
- ტოპოგეგმა, ჭაბურღილების ადგილმდებარეობის დატანით;
- ფოტომასალა;

ზოგადი ნაწილი

საკვლევი ტერიტორია განთავსებულია:

– თბილისი, ვარკეთილი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა №41-ში (მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.20.003.005), მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 495მ-დან–499მ-მდე ჰოპსომეტრიულ ნიშნულებს შორის სიმაღლეზე;

გეომორფოლოგია და გეოლოგიური აგებულება – გეომორფოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ძეძვი-მახათას მაღლობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მცირე დახრის მქონე სამხრეთ ექსპოზიციის ფერდზე.

იგი ხელოვნურად მოსწორებულ მოედანზეა განთავსებული, ოდნავი დახრით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

გეოლოგიურად ტერიტორია წარმოდგენილი არის მესამეული ასაკის ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობისაგან.

ქვიშაქვები ლითოლოგიურად შედგებიან არკოზული მარცვლებისგან, რომლებიც შეცემენტებულნი არიან თიხოვანი მასალით. ფენა ხასიათდება თხელი და საშუალო შრეობრიობით, მონაცრისფრო ფერით და საკმაოდ მაღალი სიმტკიცით.

არგილიტები უმთავრესად თხელშრეებრივია, ხასიათდებიან მუქი–მონაცრისფრო–მოშავო ფერით.

ლითოლოგიურად ისინი თიხებს წარმოადგენენ, რომლებმაც განიცადეს სახეცვლილება მაღალი ტემპერატურისა და დიდი წნევის გამო.

ძირითადი ქანები არგილიტებისა და ქვიშაქვების მორიგეობა დაფარულია ტექნოგენური გრუნტებით და კენჭნარებით, რომლთა სიმძლავრე საკვლევ მოედანზე რამდენიმე მეტრს შეადგენს.

სეისმურობა – საქართველოს მაკრო-სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით ქ. თბილისი (საკვლევი ტერიტორია) განლაგებულია 8 ბალიანი ინტენსივობის მიწისძვრების გავრცელების ზონაში.



არსებული სტატისტიკური მონაცემებით, მაღალი მაგნიტუდის მიწისძვრებს, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზიანი და გავლენა იქონიონ რელიეფის მორფოდინამიკაზე არაერთხელ ჰქონდა ადგილი, როგორც ისტორიულ, ასევე უახლოეს წარსულში.

თბილისში 6-7 ბალიანი მიწისძვრები მომხდარა – 1283, 1318, 1803, 1827, 1859, 1909, 1920 და 2002წლებში.

XX საუკუნეში მომხდარი მიწისძვრების მიხედვით მიწისქვეშა ბიძგების ხანგრძლივობა 2.1–3.6წმ-მდე მერყეობს.

სეისმური ტალღების გავრცელების ხასიათი და მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია ტექტონიკური რღვევითი სტრუქტურების განლაგებაზე.

სეისმური ტალღების გავრცელების გაბატონებული მიმართულება (სუბგანედური) ჩრდილო–დასავლეთ–სამხრეთ–აღმოსავლეთურია.

მიწისძვრებით გამოწვეული გეოდინამიკური ცვლილებები ყველაზე მეტად გამოხატულია ტექტონიკურ რღვევებს შორის განლაგებულ მორფოსტრუქტურულ ბლოკებში, სადაც დღესაც გრძელდება პულსაციური (როგორც აღმავალი, ისე დაღმავალი) მოძრაობები.

ჰიდროგეოლოგიური პირობები – საქ. ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით (ი. ბუაჩიძე, 1970წ.) სამშენებლო მოედანი მოქცეულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის, თბილისის წყალწნევიანი სისტემის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყლების ჰიდრო-გეოლოგიურ რაიონში.



პირობითი აღნიშვნები

ჰიდროგეოლოგიური რეგიონი		ჰიდროგეოლოგიური რაიონი	
I	მთავარი კავკასიონის კრისტალური სუბსტრატის გრუნტის წყლების ზონა		
II	მთავარი კავკასიონის სამხრეთი ფერდის წყალწნევიანი სისტემების ზონა	II_1	აფხაზეთის ნაპრალური წყალწნევიანი სისტემა
		II_2	სვანეთის ნაპრალური წყალწნევიანი სისტემა
		II_3	მესტია-თიანეთის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყალწნევიანი სისტემა
		II_4	ყაზბეგ-მთიულეთის ნაპრალური წყალწნევიანი სისტემა
		II_5	ქელასურის კრისტალური მასივის გრუნტის ნაპრალური წყლების რაიონი
		II_6	კელი-ყაზბეგის ლავური განფენების გრუნტის ნაპრალური წყლების რაიონი
III	საქართველოს ბელტის არტეზიული აუზების ზონა	III_1	ბზიფის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_2	კოდორის ფერდოვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_3	სამეგრელოს ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_4	რაჭა-ლეჩხუმის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_5	კოლხეთის ფერდოვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_6	გურიის ფერდოვანი, ნაპრალური წყლების არტეზიული აუზი
		III_7	წყალტუბოს ფერდოვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_8	არგვეთის ფერდოვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_9	ქართლის ფერდოვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_{10}	ალაზნის ფერდოვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_{11}	იორი-შირაქის ფერდოვანი და ნაპრალური წყლების არტეზიული აუზი
		III_{12}	მარნეულ-გარდაბნის ფერდოვანი და ნაპრალური წყლების არტეზიული აუზი
		III_{13}	ძირულის კრისტალური მასივის გრუნტის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
IV	აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის წყალწნევიანი სისტემების ზონა	IV_1	აჭარა-იმერეთის ნაპრალური წყალწნევიანი სისტემა
		IV_2	თრიალეთის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყალწნევიანი სისტემა
		IV_3	თბილისის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყალწნევიანი სისტემა
		IV_4	ახალციხის ნაპრალური წყლების არტეზიული აუზი
V	არტვინ-ბოლნისის ბელტის გრუნტის წყლების ზონა	V_1	ახალქალაქის ლავური წარმონაქმნების ნაპრალური გრუნტის წყლების რაიონი
		V_2	ჯავახეთის ქედის ალპინოტიპური კალთის ნაპრალური გრუნტის წყლების რაიონი

საკვლევ უბანზე და მიმდებარე ტერიტორიის ფარგლებში გამოიყოფა ორი ძირითადი ჰიდროგეოლოგიური ერთეული:

– შუა და ზედა ოლიგოცენის და ნეოგენური ასაკის ვულკანოგენური დანალექი ქანების წყალშემცველი კომპლექსი;

– მეოთხეული ასაკის ალუვიური ნალექების წყალშემცველი კომპლექსი;

შუა და ზედა ოლიგოცენისა და ნეოგენური ასაკის წარმონაქმნებში გრუნტის წყლები ნაპრალოვანი ტიპისაა. მათი ცირკულაციის სიღრმე დამოკიდებულია ძირითად ქანებში განვითარებულ ნაპრალთა სისტემის სიღრმესა და ხარისხზე.

ნაპრალოვანი გრუნტის წყლების მინერალიზაცია 2.5–8.2გრ/ლ-მდე მერყეობს. ყველა წყალი თითქმის სულფატურია. კათიონებიდან მონაწილეობას იღებენ Ca და Mg, იშვიათად Na.

მინერალიზაციის პროცენტის მომატებასთან ერთად ფიქსირდება ნატრიუმის იონების ზრდა. ნალექები მცირე წყალშემცველობით ხასიათდებიან და წყლების ცირკულაცია ძირითადად ხდება ღრმა ნაპრალთა სისტემაში. აქედან გამომდინარე, ვეყრდნობით ადრეულ წლებში გაყვანილ ჭაბურღილებში გახსნილი წყლის ჰორიზონტიდან აღებული სინჯების ლაბორატორიულ მონაცემებს.

წყლები ძირითადად სულფატურ-კალციუმიან-მაგნიუმიანი, ქლორიდულ -ნატრიუმიან-კალციუმიანია. ნაპრალოვანი გრუნტის წყლების საერთო მინერალიზაცია მერყეობს 2–5გრ/ლ-მდე. თითქმის ყველა წყლები შეიცავენ გოგირწყალბადს.

თბილისის ტერიტორიაზე და მის გარეუბნებში ჩატარებული 20 მინერალური წყაროს ქიმიურიანალიზიდან ირკვევა, რომ წყაროები თავიანთი მინერალიზაციით და ქიმიური შედგენილობით ერთმანეთისგან განსხვავებულია.

გვხვდება სულფატურ-ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-ნატრიუმიანი, სულფატურ-კალციუმიან-მაგნიუმიანი შემადგენლობის წყლები. მათი მინერალიზაცია მერყეობს 0.4–0.8გრ/ლ-მდე, ხოლო ტემპერატურა 11^0–17^0C-მდე. მჟავე წყლები არ ფიქსირდება.

მეოთხეულ წარმონაქმნებში მიწისქვეშა წყლები, რომლებიც ფორმირდება ალუვიურ ნალექებში, განსხვავდებიან თავიანთი ქიმიური შედგენილობით. ხასიათდებიან ამაღლებული მინერალიზაციით და სულფატურ–ნატრიუმიან–მაგნიუმიან ტიპს განეკუთვნებიან.

მინერალიზაცია მერყეობს 0.4–3.0გრ/ლ-მდე. დაბალი მინერალიზაციის 0.4–1.0გრ/ლ-მდე წყლები სულფატურ-კალციუმიან-მაგნიუმიანია.

კლიმატი – საკვლევი უბნის კლიმატური მონაცემები აღებულია საქ. სამშენებლო კლიმატოლოგიური ნორმებიდან – პ.ნ. 01.05.08. ტერიტორია მიეკუთვნება IIIკლიმატური რაიონის, IIIგ ქვერაიონს.

კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, °C	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, °C	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %
1	2	3	4	5	6
I	Iა	-4-დან –14-მდე	5 და მეტი	+5-დან +12-მდე	75 მეტი
	Iბ	-3-დან –5-მდე	5 და მეტი	+12-დან +21-მდე	75 მეტი
	Iგ	-4-დან –14-მდე	-	+12-დან +21-მდე	-
	Iდ	-5-დან –14-მდე	5 და მეტი	+12-დან +21-მდე	75 მეტი
II	IIა	-14-დან –20-მდე	-	+21-დან +25-მდე	-
	IIბ	-5-დან –2-მდე	-	+21-დან +25-მდე	-
	IIგ	-5-დან –14-მდე	-	+21-დან +25-მდე	-
III	IIIა	-10-დან +2-მდე	-	+28 და მეტი	-
	IIIბ	+2-დან +6-მდე	-	+22-დან +28-მდე	50 და მეტი 13ს
	IIIგ	0 დან +2 მდე		+25 დან +28 მდე	
	IIIდ	-15-დან 0-მდე	-	+25-დან +28-მდე	-

საკვლევი უბნის ჰავას, როგორც მეტეოსადგურის დაკვირვებები გვიჩვენებს, ახასიათებს:

– საშუალო წლიური ტემპერატურა – 12.1^0;

– ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი – -24^0;

– ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი – $+40^0$;

– ტემპერატურის საშუალო თვიური ამპლიტუდა – 9.3^0;

– ატმოსფერულ ნალექთა წლიური ჯამი – 555მმ;

– ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი – 146მმ;

- ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 68%-მდე;

  რაიონში გაბატონებულია აღმოსავლეთის ქარები.

- ქარის მაქსიმალურმა სიჩქარემ შესაძლოა – 50მ/წმ-ს მიაღწიოს;
- თოვლის საფარის წონა – 0.50კპა;
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი – 14;
- საკვლევ რაიონში გავრცელებული გრუნტებისთვის გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 28სმ;



საინჟინრო-გეოლოგიური პირობები
/სპეციალური ნაწილი/

ჩვენს მიერ საკვლევი ტერიტორიის გამოკვლევისას გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ნამარი (ტექნოგენური) გრუნტი(ფენა-1) ($_tQ_{IV}$);
2. ს.გ.ე. 1(ფენა-2) – თიხნარი – ღია ყავისფერი, ძნელპლასტიკური (dpQ_{IV});
3. ს.გ.ე. 2(ფენა-3) – თიხნარი – მუქი ყავისფერი, ნახევრად მყარი (dpQ_{IV});
4. თიხაქვიშა(ფენა-4) – პლასტიკური, მოყვითალო (alQ_{IV});
5. ს.გ.ე. 3(ფენა-5) – კენჭნარი – საშუალოფრაქციული, ქვიშის 30%-მდე შემავსებლით (alQ_{IV});

ნამარი (ტექნოგენური) გრუნტი(ფენა-1) – წარმოდგენილია თიხნაროვანი მასით, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვის ნარჩენების ჩანართებით და გავრცელებულია მთელს საკვლევ ტერიტორიაზე. მისი სიმძლავრე 2.0მ-ს აღწევს;

- ნაყარი გრუნტი ქვაბულით მოხსნილი იქნება და ამიტომ, ის არ იქნა გამოყოფილი როგორც საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი;
  ნაყარი გრუნტის მახასიათებლები აღებულია ს.ნ. და წ. 2.02.01-83-ს ცხრილებიდან და საცნობარო ლიტერატურიდან:
  - გრუნტის სიმკვრივე – 1.8კბ/სმ^3;
  - შინაგანი ხახუნის კუთხე – -18^0;
  - ხვედრითი შეჭიდულობა – C=0.1კბძ/სმ^2;
  - დეფორმაციის მოდული – E=50კბძ/სმ^2;
  - საანგარიშო წინაღობა – R_0=0.8კბძ/სმ^2;

- დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-5-82-ის ცხრილის თანახმად გრუნტი განეკუთვნება II კატეგორიას;

ს.გ.ე. 1(შენა-2) – თიხნარი – ღია ყავისფერი, ძნელპლასტიკური – გავრცელებულია მთელ საკვლევ ტერიტორიაზე, მიწის ზედაპირიდან 1.0–4.8მ-მდე სიღრმის ინტერვალში. წარმოდგენილია ღია ყავისფერი, ძნელპლასტიკური კონსისტენციის თიხნარებით;

აღნიშნული ფენის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები მოყვანილია ლაბორატორიული კვლევის შედეგებში (კრებსითი ცხრილი) დანართის სახით (გვ. 23) და ცხრილი №1-ში;

ცხრ. №1

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზომ. ერთეული	თიხნარი (ძნელპლასტ.)
1	სიმკვრივე	P	გ/სმ³	1.82
2	მშრალი გრუნტის სიმკვრივე	P_d	გ/სმ³	1.48
3	გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე	P_s	გ/სმ³	2.69
4	ბუნებრივი ტენიანობა	W	%	23.3
5	ფორიანობა	n	%	45.1
6	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ.ნაწ.	0.822
7	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W_L	ერთ.ნაწ.	30.0
8	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე	W_P	ერთ.ნაწ.	19.1
9	პლასტიკურობის რიცხვი	I_P	ერთ.ნაწ.	10.9
10	დენადობის მაჩვენებელი	I_L	ერთ.ნაწ.	0.39
11	ტენიანობის ხარისხი	Sr	ერთ.ნაწ.	0.762
12	დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ²	120
13	საანგარიშო წინაღობა	R_0	კგძ/სმ²	1.6

- დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-5-82-ის ცხრილის თანახმად გრუნტი განეკუთვნება II კატეგორიას;
- გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით პ.ნ. 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა" ცხრ. №1-ის, მიხედვით მიეკუთვნებიან – III კატეგორიას;

ს.გ.ე. 2(ფენა-3) – თიხნარი – მუქი ყავისფერი, ნახევრად მყარი კონსისტენციის – გავრცელებულია მთელ საკვლევ ტერიტორიაზე, მიწის ზედაპირიდან 3.5–8.5მ-მდე სიღრმის ინტერვალში.

აღნიშნული ფენის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები მოყვანილია ლაბორატორიული კვლევის შედეგებში (კრებსითი ცხრილი) დანართის სახით (გვ. 23) და ცხრილი №2-ში;

ცხრ. №2

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზომ. ერთეული	თიხნარი ნახ. მყარი
1	სიმკვრივე	P	გ/სმ³	1.79
2	მშრალი გრუნტის სიმკვრივე	P_d	გ/სმ³	1.47
3	გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე	P_s	გ/სმ³	2.71
4	ბუნებრივი ტენიანობა	W	%	22.0
5	ფორიანობა	n	%	45.9
6	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ.ნაწ.	0.847
